ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 185. 3 სეკტემბერი, ოთხშაბათი. 1866—1880 3 სეკტემბერი, ოთხშაბათი. № 185.

რედაქცია
ერევნის მოედანზე, მუხრანსკის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ჭავჭავაძის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
ღებ „დროება“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ре акці „Дроэба“ „Иверія“
„დროება“-„ივერიას“ ტ. ისრ

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით. სტრიქონით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უსათუოდ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

რაგუზა, 1 ენკენისთვე. ექვსასი ჩერნოგორელები და ოთხმოცი ზარბაზნები დულცინიოში გაიგზავნებიან, ვინიცობაა ალბანიელებში წინააღმდეგობა გასწიონ. ამბობენ დულცინის ფორმალურად 15 ენკენისთვეს გადასცემენო.

პეტერბურღი, ტირაჟი შინაგან სესხის ბილეთებისა, რომელიც მოხდა გუშინ-წინ 1 ენკენისთვეს:

| № № სერიების | № № ბილეთების | |
|---|---|---|
| 13,726 | — 19 — | 200,000 |
| 9,700 | — 7 — | 75,000 |
| 5,274 | — 31 | 40,000 |
| 8,843 | — 50 — | 25,000 |
| 18,283 | 9 | |
| 6,938 | 30 | 10,000 |
| 1,854 | 30 | |
| 80,14 | 13 | |
| 14,331 | 10 | |
| 15,321 | 46 | 8,000 |
| 14,882 | 15 | |
| 11,155 | 33 | |
| 13,330 | — 46 — | |
| 7938 | — 17 — | |
| 6,361 | — 1 — | |
| 1,356 | — 18 — | |
| 6,438 | 29 — | 5,000 |
| 10,771 | — 5 — | |
| 5,769 | — 28 — | |
| 7,491 | — 19 — | |
| 7,757 | — 11 — | |
| 13,267 | — 11 — | |
| 7,840 | — 47 — | |
| 6,579 | — 47 — | |
| 14,639 | — 36 — | |
| 2,563 | — 17 — | |
| 12,977 | — 50 — | |
| 15,537 | — 3 — | |
| 9,637 | — 2 — | |
| 8,523 | — 27 — | |
| 2,373 | — 24 — | 1,000 |
| 9,760 | — 8 — | |
| 16,131 | — 34 — | |
| 15,463 | — 38 — | |
| 18,956 | — 7 — | |
| 3,532 | — 30 — | |
| 18,869 | — 22 — | |
| 1,354 | — 6 — | |
| 2,097 | — 13 — | |
| 8,611 | — 45 — | |

## ქალაქის რჩევის სხდომა

1 ენკენისთვეს.

ჩვენი ქალაქის რჩევის საზამთრო სეზონს უჩვეულებრივო შემთხვევის წყალობით გუშინ-წინ, საზაფხულოდ შესვენების შემდეგ, ხელ-ახლათ მოეყრა თავი.

ეს „უჩვეულებრივო შემთხვევა“ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის გრაფ მ. ტ. ლორის-მელიქოვის ტფილისში ჩამოსვლის ლოდინი გახლდათ.

ამ ლოდინის გამო ქალაქის გამგეობამ მოიწვია რჩევის ხმოსნები საგანგებო სხდომაზედ, რომელზედაც უნდა გადაეწყვიტათ თუ როგორ დახვედროდენ მათს თანა-მოქალაქე შინაგან საქმეთა მინისტრს.

სამზღვარ-გარეთ მყოფის ქალაქის თავის მაგიერ სხდომაზე თავჯდომარეობდა ხმოსანი ქ. ა. თამამშევი, რომელმაც დაახლოვებით შემდეგის სიტყვით მიჰმართა ხმოსნებს (სულ 25 კაცს):

ამ დღეებში ქალაქში მოელიან გამოჩენილს სახელმწიფო კაცს, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, ადრე უზენაეს განმგე კომმისიის უფროსად ყოფილს, ტფილისელთ სახელოვანს მოქალაქეთ გრაფს მიხეილ ტარიელისძეს ლორის-მელიქოვს. როგორ ინებებს ქალაქის რჩევა ამ გამოჩენილის კაცის დახვედრას?

ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქი შეეგება გრაფ ლორის-მელიქოვს როგორც ბრძოლის ველიდამ ძლევამოსით დაბრუნებულს, მხნეობით განთქმულს სამხედრო გმირს. ეხლა კი, როცა რუსეთის იმპერატორმა მიანდო მას თავის იმპერიის ერთი უწარჩინებულესთაგანი ადგილი, იგი სახელოვანად ხელ-მძღვანელობს რუსეთის მშვიდობიანად წარმატებას.

ერთი იმ საქმეთაგანი, რომელთაც გრაფი მიხაილ ტარიელისძე თავისი განსაკუთრებითი ყურადღებას აქცევს არის თვით-მმართველობის საქმე; ამ საქმეს გრაფმი კვლავ შეასხა აქამდის საქმეთა არეულობის გამო მოკვეცილი მისი კანონიერი ფრთები.

ამიტომაც ეხლა ის შემოდის ტფილისში როგორც ხალხის საზოგადოსაყვარელი სახელმწიფო კაცი.

რას გადაწყვეტს რჩევა, როგორ მიეგებოს ქალაქმა გრაფს მიხეილ ტარიელისძეს?

ამის შემდეგ კრებაში ჩამოვარდა მოკლე ბაასი.

ხმოს. ა. ყორღანოვმა შემოიტანა წინადადება, რომ ქალაქის თავმა და ყველა ხმოსნებმა გრაფს ვოგზალზე დახვდენ. თავმა მოკლე სიტყვით მიეგებოს და შემდეგ შინაური, რაც შეიძლება მხიარული სალამო გაუმართონ. ამ წინადადების დედა-აზრი მიიღეს, მაგრამ როცა მისს კერძო განხილვას შეუდგნენ, გამოჩნდა, რომ

---

დროების ფელეტონი, 2 ენკენისთვე

## ისტორია იესო ქრისტეს ტანჯვისა და სიკვდილისა

წერილი გერმანიიდგან.

არ არის საკვირველი, რომ პატივცემულმა მკითხველმა გაოცებით ჰკითხოს თავის-თავს: „ნეტა რა უნდა იყოს შინაარსი ამ წერილისა?“—ნამეტნავათ როცა ამ წერილის სათაურს წაიკითხავს. თუ როგორ ეწვალა იესო ქრისტე და ჯვარს ეცვა, თანახმათ მოციქულების მოთხრობისა, ეს ყველა ჩვენმა პაწაწინა შკოლის შეგირდმა კარგად იცის და მაშასადამე ამას თქვენთვის არაფერი ინტერესი აქვს.

ჩვენთვის ინტერესი აქვს იმას, რაც ჩვენ გვიყვენებს სხვა ხალხის ცხოვრებას, აზრებს, ჩვეულებას, ზნეობას რწმუნებას და ცრუ-მორწმუნებას.

ჩემის აზრით, ამისთანა ხასიათი აქვს ამ „იესო ქრისტეს წვალებას და სიკვდილს“, რომელზედაც მე მინდა ლაპარაკი და რომელმაც ეხლა შეაგროვა აქ არა მარტო ყველა ევროპის ხალხი, არამედ აზიისაც, ამერიკისაც, აფრიკისაც და ავსტრალიისაც (ამ ბოლო ორი მხრეზიდგან რასაკვირველია, კოლონისტები).

საქმე იმაშია რომ გერმანიაში განსაკუთრებით სამხრეთ ბავარიაში, ალპების მთების წინა ტოტებში სოფელს ობერ-ამმერგაურში, ყველა ათ წელიწადში ერთხელ იქმნება ხოლმე წარმოდგენილი თეატრში „ისტორია იესო ქრისტეს წვალებისა და სიკვდილისა“.

ამ წელიწადს იყო 23 წარმოდგენა დანიშნული მაისიდგან სეკტემბრის გასვლამდე, კვირაში ერთი წარმოდგენა. მაგრამ რადგანაც ყოველჯერ ხალხი ერთი ორათ მომეტებული გროვდება, ამისათვის დანიშნულ დღეს გარდა მეორე დღესაც არის ხოლმე წარმოდგენა. რომ შეადგინოთ აზრი, თუ რა მძლავრი ხალხი გროვდება ამ პატარა სოფელში, ვიტყვი, რომ თეატრში ეტევა 14,000 კაცი და მეორე დღის წარმოდგენისთვის მაინც დიდის თავის მტვრევით შოულობენ ბილეთებს, როგორც მე მომივიდა. მაშასადამე კვირაში 24,000 კაცი უნდა შეინახოს ამ პატარა სოფელმა! (ვაი ამ შენახვას!).

„ისტორია“ არის ვრცხლი მთლათ ისე, როგორც წარმოგვიდგენენ მოციქულები. ეს იწყობა ი. ქრისტეს იერუსალიმში შესვლიდგან მის აღდგომამდე. ამ „ისტორიას“ ადიდებენ ცოცხალი სურათები ძველი აღთქმის ისტორიიდგან, რომლებსაც აქვსთ წინასწარმეტყველური მნიშვნელობა, მაგალითებრ ჯერ ცოცხალი სურათი წარმოგიდგენთ, როგორ ცდილობენ პატრიარხი იაკობის შვილები თავიანთი ძმა დაღუპონ და თავიდგან მოიშორონ, მერე ჰხედავთ სცენაზედ, როგორ ცდილობენ მღვდელ-მთავარნი და მწიგნობარნი იესო ქრისტე თავიდგან მოიშორონ და მოკლან. ანუ, ჯერ ცოცხალი სურათი გიჩვენებთ როგორ ჰყიდიან იაკობის შვილები თავის ძმას 20 ვერცხლის ფულათ, მერე ჰხედავთ სცენაზე როგორ ჰყიდის იუდა ი. ქრისტეს 30 ვერცხლის ფულათ და სხვ. და სხვ. ეს ტექსტი აქამდისინ არ არის სრულად დაბეჭდილი, მაგრამ ამის სივრცეს იქიდგავ წარმოიდგენთ, რომ, როგორც ამბობს დოკტორი ნიკოლოვისი თავის წიგნში 1748 წ. ეს ტექსტი შესდგებოდა 168 ფურცლებიდგან. შემდეგ არის ეს ტექსტი დოკტორი ოტტმან ვაისისაგან შევსებული.

ყველა ეს მინდოდა მე ჩემის თვალით მენახა. ნდომა ჩემი იყო დიდი, ჯიბე კი ძალიან პატარა. ერთ დღეს მოვიდა მიუნხენში ტელეგრამმა, რომ გერმანიის იმპერატორის მემკვიდრე მოვიდა ობერამმერგაურში და ხვალ უნდა წარმოდგენა ნახოს. ჩემმა სურვილმა აჯობა ჩემ თხელ ჯიბეს და 21 აგვისტოს დილით 6 საათზედ ვიყავ რკინის გზის სტანციაზედ ჩემის ხმელის საგძლით.

დღე იყო საძაგელი. მესამე კლასის ვაგონში არავინ არ იყო გარდა დაბალი ხალხისა, რომლებიც, თანახმად მოღრუბლული ბუნებისა, ცხვირჩამოშვებულები ისხდნენ და თავიანთ დახლაკნულ ჩიბუხებს შეექცეოდნენ.

უიმისოთაც არ არიან ნემცები ძალიან მოლაპარაკენი და დღეს ნამეტნავათ სულ ჩუმათ იყვნენ და ზოგს სთვლემავდა. თუ რომელიმე ამათგანი თავის ახლო მჯდომს ტკბილ თვლემას რომელიმე კითხვით გაუფთხობდა, მიიღებდა იმისაგან მოკლე „ჰო“-ს ან „არა“-ს. ერთის სიტყვით, თავიანთი დიალექტით (ბავარიული), რომელიც უფრო ღორის ხრუტუნს ჰგავს, მანამ ნემეცურ ენას, ბევრი თავი არც თითონ შეიწუხნეს და არც მე შემაწუხნეს.

კონდუკტორმა შეგვატყობინა, რომ ჩვენ მივედით მურნაუში, საიდგანაც ყველა ჩვენგანი ან ფეხით უნდა წასულიყო ობერამმერგაუში ან ფაე-

გრაფისათვის **ღირსეულის** შინაურის სალამოს გამართვას სულ რომ ცოტა ვთქვათ 15,000 მან. მოუნდება.

ამიტომაც რჩევამ ირჩია, როგორც გრაფისათვის უფრო საამო, ამ ფულებით იმის სახელობაზედ ორი სტიპენდიის დაფუძნება კავკასიის მომავალს უნივერსიტეტში და სანამ ეს უნივერსიტეტი გაიხსნებოდეს ერთი სტიპენდია პეტერბურღის უნივერსიტეტში და მეორე მოსკოვისაში დაფუძნდეს.

ამისთვის საჭირო ფულები ქალაქის გამგეობამ იმ სამზადისის თანხიდამ (8 აპრილის კაპიტალი) უნდა ისესხოს, რომლის სარგებელი სახელოსნო სასწავლებლის შესანახავად არის გადადებული. ნასესხები ფულის სარგებელს გამგეობა პირ-და-პირ ამ სასწავლებელს გადასცემს.

დანარჩენი წინადადებანი, გრაფის ღირსეულად მიგებებისათვის, რომელნიც ერთ-ხმად მიიღო რჩევამ შემდეგნი არიან:

1) მიართვან ტფილისის საპატიო მოქალაქის წოდება;

2) ატამანის ქუჩას ლორის-მელიქოვის ქუჩა დაარქვან და

3) რჩევის თაოსნობით გამართონ სახალხო დღესასწაული.

თუ ვინიცობაა გრ. ლორის-მელიქოვი არ მოვიდა, მაშინ ქალაქის რჩევამ ადრესით უნდა აცნობოს მას თავისი გარდაწყვეტილება.

ჟ.

## რკინის გზის წესები

ბევრი გულის შემაძრწუნებელი საქმეები ხდება ჩვენს რკინის გზაზედ, რომელიც შეუნიშნავათ რჩება როგორც ხალხისაგან, აგრეთვე თვითონ რკინის გზის მართველობისაგანაც.

**სხვათა** შორის ორი შემდეგი საყურადღებო ბოროტ-მოქმედება არის გავრცელებული ზოგიერთ სტანციებზედ;

ბავშვებს ხუთი წლიდან ათამდინ რკინის გზის წესდების ძალით, უნდა გამოერთვათ ბილეთის ფასი პირველს და მეორე კლასში ნახევარი და მესამეში კი მეოთხედი.

ეს წესი ჩვენმა ხალხმა ძალიან ცოტამ იცის და ამით სარგებლობენ რკინის გზის სვინდიზედ ხელ-აღებულნი ბილეთების გამყიდავები: ისინი მესამე კლასის ბილეთებშიაც ნახევარს ფასს ართმევენ და ჩვენს ხალხს, რადგანაც ნახევარს ბილეთს იღებს, ჰგონია ნახევარი ფასი უნდა მისცეს უთუოთ.

ამ საგანში მომეტებულათ ატყუებენ ისინი უფრო დაბალ, უმეცარს ხალხს. ბევრჯელ მინახავს, ზოგი გლეხი, რომელსაც გაუგონია ეს გარემოება, შეუნიშნავს ბილეთების გამყიდველისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს დაუყვირნია მისთვის და გამოუგდია.

ამ საქმეში ძალიან სტყუის ჩვენი რკინის გზის მმართველობა, რომელიც თავის დაუდევრობით ხელს უწყობს თავის ზემო-ხსენებულთ მოსამსახურეებსა.

მისი დაუდევრობა მაში მდგომარეობს. რომ სტანციებში იმ ალაგას სადაც ბილეთები ისყიდება, არა აქვს აკრული ზემო-ხსენებული წესდებანი, რომელნიც, როგორც რუსულს აგრეთვე ქართულს ენაზედაც, ძალიან საჭიროა, რომ იყვნენ.

მეორე, არა პირველზედ ნაკლები ბოროტ-მოქმედება არის ისა, რომ ბაგაჟის (ბარგის) მიმღებნი — უმეცარი ხალხისაგან ფულს მომეტებულს იღებენ, ვიდრე კვიტანციაში არის ნაჩვენები.

ბევრჯელ მინახავს, გლეხ-კაცს სხვისთვის ამოუკითხვინებია კვიტანციაში ნაჩვენები ფასი და რომ შეუტყვია — მომეტებული გამოურთმევიათ, მისულა დასაკითხათ ბარგის მიმღებთან, მაგრამ მას გამოუგდია იგი გინებით, თუ როგორ გამიბედე შენ მაგისთანა კითხვაო!

**.

სტ. საშური, 31 აგვისტოს.

## ახალი ამბები

ფინანსთ მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელს ივლისის 10 დაუმტკიცებია სოფ. ბახვის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წესდება.

* * *

ფოთიდამ გაზეთს „კავკაზს“ სწერენ, რომ პირველს ენკენისთვიდამ იქ აპირობენ ქალების პირველ-დაწყებითი სკოლის გახსნას, რომელიც აქამდის ომიანობის გამო დახურული იყო.

კორრესპონდენტის სიტყვით ფოთელები ძალიან თანაგრძნობას უჩვენებენ ამ სკოლას და საზოგადოთ განათლების საქმეს.

* * *

ჩვენ გავიგეთ, რომ ტფილისში აპირებენ მარი ივანეს ძის ბროსსეს სურათის დაბეჭდვას, რომელზედაც პატივცემულის ისტორიკოსის სახელი და გვარი თვითონ იმის ხელით იქნება მოწერილი.

* * *

გორიდამ გვწერენ:

„აქაური ქუჩები და კარ-მიდამო ნაგვით სავსეა; ქუჩის არხები გაუწმენდელი და საზოგადოთ ყველგან არა წმინდაობა. თითქო ფაფხურობენ, ცდილობენ, ძალას ატანენ, უბრძანებენ, მაგრამ ზღვაში ქვიშას რა გამოლევს.

„ჩარჩობა აღკრძალეს ჩვენს მაზრაში, მაგრამ სოფლებში მეფარჩე და მეწვრიმალნე ურიები არ გამოლეულა, და ნუ თუ ყველანი ფულზედ ვაჭრობენ?...

* * *

გორიდამვე გვწერენ, რომ რაც ხიდი გავისტუმრეთ, ფაეტონები, დროგები და საზოგადოთ ეკიპაჟები ძალიან დაძვირდა, მეტადრე სოფლებში წამსვლელებს ერთი-ორათ ფასს ართმევენ... ამის გამო მოიგონეს ომნიბუსები, რომელნიც დანიშნულ დღეებს დადიან ცხინვალს და უკან, რითაც ცხინვალის მხრისკენ მცხოვრებლებს გაუადვილდათ მსვლელობა. არ იქნება ურიგო, სხვა ომნიბუსიც გაიმართოს სხვა დიდ სოფლებისკენაც და დაგვიხსნან მეფაიტონებისაგან. ამას გარდა, ისიც არ იქნება ურიგო, რომ ადგილობრივმა მთავრობამ დაახლოვებით გადაუჭრან ფასი მეფაიტონეებს სოფლებში წასვლაზედ, ე. ი. გადაუჭრან — თუ რამდენი უნდა აიღონ ათ, ოც, ოც-და-ათ და სხვ. ვერსზედ. — ვგონებ კანონის წინააღმდეგი მოქმედება არ იქნება ესა.

---

ტონით (რკინის გზა აღარ მიდის აქიდგან მთებში). თუმცა განძრახვა მქონდა აქედგან ფეხით წავსულიყავი, მაგრამ რაკი საშინლათა წვიმდა და არც მანძილია პატარა ობერამმერგაუმდის (6 საათი სავალი), გადავსწყვიტე ამხანაგები მეპოვნა და ერთათ დაგვექირა ფაეტონი. ბევრი ძებნა არ დამჭირდა, რადგანაც ჩვენთან (ჩემთან იყო ერთი სტუდენტი მიუნხენის უნივერსიტეტისა) მოვიდნენ ორი პატიოსნათ ჩაცმული პირები და გვითხრეს ისე ნაზათ და ტკბილათ, როგორც მოითხოვს ევროპიული მეტის-მეტათ გადაჭარბებული ეტიკეტი:

— **იქმნება** შემიძლიან გავბედო, უფალნო, გკითხოთ, ფაეტონი ნაშოვნი გაქვთ, თუ არა? **იქმნება** შემიძლიან გთხოვოთ ჩვენთან დაიჭიროთ ადგილი, ორი ადგილი თავისუფალია?“

— დიდის სიამოვნებით; ეგ ხომ მეტი პატივისცემაა თქვენგნით! — მიიღეს ამ ორმა განათლებულმა კაცმა პასუხათ.

საქმე გათავებული გვქონდა, მარტო დანაყრება გვაკლდა. მე ვფიქრობდი, რომ მურნაუდგან, ჩვენებურათ ვთქვათ, ტეტიებთან მომიხდებოდა მგზავრობა და ჩემი ხმელი საგძალი გზაში გამომადგებოდა, მაგრამ გაუწყრა ღმერთი ჩემს ბედს!

— „ახლა დანაყრება-ღა გვაკლია, დაიწყო მეორე ნემეცმა, ინებეთ, უფალნო, რასაკვირველია სასტუმროში წამოსვლას“ და ოთხთავემ გავსწიეთ სასტუმროსაკენ.

„სასტუმრო“ ისეთი საშინელი სიტყვა არ არის გერმანიაში, როგორც ჩვენში. ვგონებ არ შევსცდე, რომ ვსთქვა, აქაურ სასტუმროში **თითქმის** იმის ნახევარი დაგეხარჯებათ, რაც თბილისის სასტუმროებში. მიზეზი ამისა ის არის, რომ აქ დიდი კონკურენცია არსებობს. დღეს თქვენ არ გინდათ თქვენი საქმე სინიდისიანათ წაიყვანოთ, დღესვე შეიტყობს ამას თქვენი მეზობელი და ხვალ თქვენს გვერდზედვე მიჰყავს იგივე საქმე და შუბლ-გაშლილი დარწმუნებულია, რომ იგი თქვენ საქმეს ცოტა ხანში ბოლოს მოუღებს. **საქმის** კარგათ წამყვან პირებში აქ ნაკლულევანობა არ არის, როგორც ჩვენში, და ამით ვგონებ ყველაფერი ვსთქვი.

**რაც** აქა ვსთქვით შესახებ სასტუმროებისა, შეგვიძლიან გადავიტანოთ ყველა იმაზედ, რაც კი აუმჯობესებს კაცის ცხოვრებას ინტელლექტუალურს თუ მატერიალურს. ყველა ამას მიუმატეთ ფხიზელი ყურადღება მთავრობისა ქალაქებში ქალაქისა და სოფლებში სოფლებისა. **დღეს** ქალაქში რომელიმე საქმე კერძო პირს მიჰყავს, დღესვე ამცნევს ქალაქის მთავრობა, რომ ეს პირი თავის ჯიბის მეტს არავის არ უგდებს ყურს, ხვალ შედის ქალაქის რჩევაში (დუმაში) წინადადება, რომ ეს საქმე უნდა ჩვენ ხელში ჩავიგდოთ. **რაც** უნდა დაგვეხარჯოს, მოგება **ბოლოს** მაინც ჩვენია. ჩვენ ვიძახით ხოლმე (საქმე ამას გვიმტკიცებს) ან დღესვე მოგება ან არადროს! ახლა მიუნხენში ამისთანა კითხვას შეადგენს ესრედ წოდებული „ცხენის გზა“, და იმედია აქაური „დუმა“ ან თავის ხელში ჩაიგდებს ამ საქმეს, ან კერძო პირს ფასს დააკლებინებს.

იქმნება მომეტებულათ ძვირია ამ „ცხენის გზით“ სიარული? თქვენ არ მომიკვდეთ; 2 კაპ. ერთ ვერსტ ნახევარს გაივლით! მაგრამ სადაც ჩვენ თბილისში შენ, მკითხველო, დაჰჩუმდებოდი და მეც არას ვიტყოდი, იქ ესენი თავს იმტვრევენ.

იქნება ესეთი სიფხიზლე მარტო დიდ ქალაქებშია და მიყრუებულ პატარა ქალაქებში ჩვენებურად მიდის საქმე? — არა, არც იქ არის ჩვენებური არაფერი.

მოვიყვან მაგალითად პატარა ქალაქ ლანდსბეგს, რომელიც ძალიან კარგათ გავიცანი. არც ამ ქალაქის ცხოვრებაში სუფევს ძილი; ამასაც ჰყავს პატრონი, რომელიც ჩვენი დიდი ქალაქებისთვის დიდი სასარგებლო კაცი იქმნებოდა. ამ კაცს ქალაქის თავს დაენახა, რომ ყოველისფერი, რაც კი ეხლა ქალაქს აქვს, რასაც კი ქალაქი ხმარობს, რასშიაც იგი ეხლა საჭიროებს. კერძო პირების ხელში იყო. მაშინ უფრო კარგათ ვიცხოვრებთ, როდესაც ყველაფერს ჩვენსას ვიხმარებთ და სხვას ხელში არ შევყურებთ. მიჰყო ამ კაცმა ხელი ყველაფრის გაუმჯობესობას, არ შეუშინდა არც ვალს და ცოტა-ხნის შემდეგ ჩააბარა მოქალაქეებს სულ სხვანაირა ქალაქი. შეჰხედეთ ამ ქალაქის წყლის მაშინას, რომელიც ჩვენი თბილისთვის სანატრელია! შეჰხედეთ სახერხავს მაშინას, რომელიც არა მარტო ამ ქალაქს ყოფნის, არამედ სამ ამისთანა ქალაქს ვაუძლევება! შეჰხედეთ ამ დიდ სახლებს, რომელიც ქალაქის ფულით არიან აშენებულნი, სადაც ღორს და ძროხას უვლიან და ამრავლებენ, სადაც დიდი და პატარა ხვნა-თესვას, ძროხის მოვლას და გამრავლებას სწავლობენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ახალციხე**, 29 აგვისტოს. მშვენიერი ქალაქია ძველი ქალაქი. უმშვენიერესია ახალი პლანის ქალაქი. ძველი ქალაქი, რომელი მხრიდამ შეხედოთ, ახალზე მაღლა დგას.

თუ ინებებთ მეცნიერ-განათლების თვალით მიხედოთ, კიდევ დაინახავთ, რომ ჩვენი ძველი ქალაქი ძრიელ განშორებითი მაღლა დგას.

რა ჰსურს თქვენს სულსა და გულსა, რომ ამ ჩვენს ძველს ქალაქში არ იყოს? საზოგადოებები გნებავსთ? სასწავლებელი გინდათ? პოეტები გნებავსთ? ბიბლიოთეკები? რა გნებავთ? ყველაფერი, ყველაფერი გახლავს.

საზოგადოებები ძველს ქალაქში კეთილ მიზნებით მრავალია. რომელი ერთი მოგახსენოთ? გახლავს საზოგადოება ქორებისა, საზოგადოება ყალიონის მწეველებისა, საზოგადოება ტამა-ქალალდის მოთამაშეებისა, საზოგადოება ბუზების მყლაპელებისა და სხვა ბევრი ამისთანებისა. შკოლები? რამთონი გნებავსთ? ბევრი!.. ერთი შკოლაა. იმაშიც თუმცა არც რიგია, არც გაწყობილება და სწავლა რიგიანი, მაგრამ მაინც შკოლააა. ბიბლიოთეკაც გახლავს, მაგრამ წიგნები არ არის, რადგან არც მკითხველია და არც მყიდველი. რა ჰქმნან?.. პოეტიც არის, ლექსებიც აქვს დაწერილი, მაგრამ იმის ლექსები იმისთანა გულ-დამწვარი კილოთი არიან დაწერილნი, რომ ვინც წაიკითხავს, ასტირდება და გული ნაღვლით აევსება... ახლა უიმისოთაც დამწვარ-დადაგული ხალხია ძველის ქალაქისა, რომ წაიკითხოს, უფრო გადირევა, ამისთვის ეს ლექსები დღემდის სოფლად არ გამოდიან. ამბობენ საქალებო სასწავლებელიც იკეტებაო; გავიგონე და ნამდვილს ვერ მოგახსენებთ. მაინც დროა დაიკეტოს: რაც ეს შკოლა გაიხსნა, საქმე ძრიელ ცუდას წავიდა: ქალები კარგათ სწავლობდნენ და ქმრებზე სწავლული გამოდიოდნენ; ამით დიდი და ბევრი უთანხმობა, უსიამოვნება ხდებოდა ცოლ-ქმარს შუა. ახლა კარგია: „ფერი—ფერსა, მადლი ღმერთსა“ იქნება...

პლანი ე. ი. ახალი ქალაქიც ხომ კარგი რამ არის, შენდება; ხალხის მოძრაობა ერთი-ათად მოჰმატებია. შკოლები; ვაჭრებიც კარგია—იყიდება სხვა-და-სხვა საქონელი, დუქნის ადგილები და თბილი ადგილები მოხელეებისა—სხვა არის:

პლანი ისე უნდა, ძველი ქალაქი ასე, რადგან იქ სომხები ცხოვრობენ, აქ—ქართველები. ახალ ანდაზას: „ქართველი არა რაის მქონეველი“, როგორ უნდა უღალატონ ქართველებმა? ან რომელი ხალხი ინახავს წმიდათ ანდაზას: „რაც არ ექმნას მამა-შენსა, ნუც შენ იხვევ მრაშაშებსა,“ როგორც ახალციხის ძველი ქალაქის ქართველები? ერთი ბეწვიც არ შეუცვლია ძველი ცხოვრება და ჩვეულება ძველს ქალაქს. ისევ ის დილა-საღამოს ზარების ტანკა-ტლუნკი, ისევ ის მინგრეულ-მონგრეული მამა-პაპური ბაზარი, სადაც გამოდიან და ბოლთსა სცემენ თავიანთი სიმაღლითა „მრავალის მსურველი და არა რაის მქონეველი ბატონები;“ სადაც ირევიან „ცხრა კოკიანები“—კეთილ შობილ ცხოველებთან, სადაც ნახავთ მამა სტეფანეს თავისი გრძელი ბუხრის ქუდით და საოცარი ნაცრის ფერი მინელით, რომელიც ისე იძრევა, როგორც ყარიჯა-ბასმაზ-ეფენდა, გეგონება ჭიის გაღვიძებაც არ უნდაო და რომელიც სოფლად არის და სოფელს კი არ არგია;“ ისევ ის ეგვიპტის პირამიდები—ძველი დარბაზის ბანები, სადაც დაიარებიან თითო ჯეირანივსთ მოპრანჭული ძუძუნა—კეკლუცები, მაია-ნინუცები და სალომე-ნათელოები!.. ისევ ის მღვდლების წეწვა-გლეჯა...

ერთის სიტყვით, ძველი ქალაქი თავისი უბედურობით ბედნიერია და ხანგრძლივის ძილით მოსვენებული...

რა ვქნა, ძმაო ახალციხელო ქართველო მკითხველო, ასეა საქმე! ნუ გეწყინება და ნუ იტყვი:—ვილაც ოხერი ბავრელი ხარ, რაებს ბოდავ? წამალი და დარიგება გაქვს, შენს თავს მოახმარე! რა ვქნა, ძმაო-ჯან, ზოგიერთი ბავრელების, ვალლების და უდელების მაგალითი თქვენ უნდა იყოთ და ამიტომ გული მეწვის, მეხრაკება. თქვენ რომ აყვავებული იქნებით, იმათთვისაც კარგი იქნება, რადგან ხარი ხარს აჰყვება, თხა თხას და ირემი ირმებსა. ქარგი იქნება თორემ მე რა? მე ერთი სათქმელი მაქვს, ვიტყვი და გავივლი, წავალ...

ს. ბავრელი

---

**ოზურგეთი**, 28 აგვისტოს. აგერ თითქმის შუა ხნის კაცი შევიქენი და გაზეთში წერა ჩემ დღეში არ მიფიქრნია; თუმცა ბევრს უკმაყოფილებას შევხვედრივარ, მაგრამ ყველას გულ-გრილის მოთმენით გავიცლიდი. ეხლა კი ამ მოთმინების ლონის-ძიება სრულებით მომაკლო ჩვენმა საშიშარმა მდგომარეობამ.

გურია წარმოადგენს—ეხლა—ერთშეუვალ ბუდეს, რომელშიაც ბუდობენ ავაზაკები თავისი მამა ადმინისტრატორითა. ქაცის-კვლა, ქურდობა, კაცების ჩეხა, თოფების სროლა ბაზარშიაც კი ჩვეულებრივი საქმე შეიქნა, ასე რომ ჩემს ცხოვრების განმავალობაში ამისთანა მარცხები არ ყოფილა.

მაგალითად: სოფლებში ბაილეთში მოკლეს ვაჭარი და მისი პრიკასჩიკი; გურიანთაში მოკლეს მტერობის გამო დედაკაცი; ხვარბეთში მოკლეს ერთი, ლიხაურშიც ერთი და ორი დაჩეხეს; მაკვანეთში დაჩეხეს ერთი კაცი; ამ უკანასკნელ დროს დვაბზუში მოკლეს სამაგალითოდ ერთი ახალგაზდა კაცი. ყველა ეს შემთხვევაები იქნა ამ უკანასკნელ თვის განმავალობაში!

ამისთანა შემთხვევები წარმოუდგენს მკითხველებს იმ გურიელების დროს, როდესაც „გოთაულობა“ განძრიელებული იყო, კანონი და მმართებლობა სუსტი გვყვანდა და კაცებს ისე უწყალოდ ხოცდნენ, და ან ჰყიდდნენ ოსმალეთში, ვითარცა პირუტყვებსა.

იქნება იკითხოთ მიზეზი გურიის ამ ნაირ სამწუხარო მდგომარეობისა? აი მიზეზი რა არის: ოზურგეთში გვყავს ერთი მმართველი თ. დ., რომელიც, როდესაც შეატყობინებენ დღეს ეს-და-ეს უბედურება, კაცისკვლა და სხვა ამ გვარი მოხდაო, ამბობს: „მოკლას ავაზაკებმა ავაზაკებიო“ (пусть бьютъ мерзавцы мерзавцевъ). მთელს თავის ვალდებულობას უეზდში ამ სიტყვით და ქაღალდებზედ თავის სახელის მოწერით ასრულებს! და ამისთანა მმართვისათვის ავაზაკები იმას თავის მამად უწოდებენ. მე ვიყავი მოწმედ ერთს ალავს,

---

შებძანდით აქაურ ხუთ შკოლაში: სამასწავლებლოში, სამეურნეოში, რეალურში, სახალხოში, ქალებისაში და დაათვალიერეთ იქაური მოწყობილობა! შებძანდით საგლახაოში, დაინახეთ ამათი მოვლა! შებძანდეთ ამათ თეატრში, რომელთანაც ძალიან ბევრს ვერ დაიკვეხებს თბილისის საზაფხულო თეატრი,—მაშინ თქვენც და მეც ვიტყვი, რომ აქ არა სძინავთ ყურმოყრუებით, ჰყავთ საკმაოთ საქმის მცდნე განათლებული, ენერგიული კაცები...

მართალია ჩემი პატარა მგზავრობა ალპების ტოტებისაკენ კი დამავიწყდა... ჰო! შევედით სასტუმროში და ნახევარ საათში ყველანი მზათ ვიყავით სამგზავროთ.

დილანდელი ავი დარი არც ეხლა გვანეებდა, თავს. წვიმამ უფრო მოუმატა, ნამეტნავათ როცა გორებში შევედით, ასე ეგონებოდა ადამიანს, წვიმა და ნისლი ცდილობენ გორების სიმშვენიერე არ დამანახოსო. ჩემი თანა-მომგზავრენი ძალიანა ჯავრობდნენ ამისთანა ბუნების უსვინდისობაზედ, მე მომეტებულათ. ბევრჯელ გავყავი თავი, რომ დამენახა მთები და ვაკე ადგილები, მაგრამ ტყუილათ, დაკარწახიბულ დედა-კაცების მეტს ვერავის დავივახამდი ხოლმე.

თითქმის სამი საათის განმავლობაში ჩუმათ-ვისხედით და წვიმის შხაპაშხუპს უგდებდით ყურს. ბოლოს ისევ ერთმა ნემეცმა იურისტმა დაიწყო ლაპარაკი:

მე გარწმუნებთ თქვენა, აქაურმა ხალხმა გამაკვირა (ე. ი. ბავარიელებმა). სადაც გაიხედავთ, ყველას ბოლოკი უჭირავს და სჭამს, თან პივოსა სვამს, მაგრამ ძალიან მაგარი ხალხი კი ჩანს. ჩვენში ამას ხალხი ვერ აიტანდა.

ერთ ღარიბ კაცს ვერა ნახავთ ჩვენში, რომ ასე ცუდათ ცხოვრობდეს.

— თქვენ საიდგან ხართ? ჰკითხა ჩემმა ნაცნობმა სტუდენტმა (ბავარიელმა).

— რეინის პროვინციიდგან. ჩვენში მომეტებული ნაწილი ხორცს სჭამს და ღვინოს სვამს და სიმაგრით კი ვერ დაიკვეხებს. მაგრამ ეს მშვენიერი პივო დიდს შაღავათს მისცემს აქაურ ხალხს.

— რასაკვირველია! უთხრა სტუდინტმა,—ჩვენ ხალხს პივო კი ასვი და მთელი დღე თუნდა პურის მეტი ნურას მისცემ...

— გასაკვირვალია ამითი ცხოვრება; მაგრამ უფრო გასაკვირველია ბავარიული დიალექტი.

— მართალსა ბძანებთ, თქვენ ვერ გაიგებთ აქაური დაბალი ხალხის ენით რომ გელაპარაკოთ.

— აქ სტუდენტმა უთხრა რამდენიმე ფრაზა ბავარიული დიალექტით და შემდეგ აუხსნა მნიშვნელობა. შეგვექმნა საზოგადო სიცილი.

— თქვენ ბავარიელი უნდა ბძანდებოდე? ჰკითხა იურისტმა სტუდენტს.

— დიახ.

— მიუნხენიდგან?

— არა, მაგრამ როგორც აქაური უნივერსიტეტის სტუდენტი, მიუხვენში ვცხოვრობ.

— თქვენი სპეციალური საგანი?

— საზოგადოთ ფილოლოგია, განსაკუთრებით ახალი ენები.

— ოჰ! დიდი მოყვარული ვარ ახალი ენებისა, თუმცა, როგორც იცით ესენი ჩემთვის, როგორც იურისტისათვის, დიდს საჭიროებას არ შეადგენენ.

ჩემი ნაცნობი სტუდენტი წელში გაიხსნა; თავის-თავს გრძნობდა, როგორც რუსები იტყვიან, თავის მათლაფაში, ნამეტნავათ ეხლა, როდესაც ერთი ტკბილი სიტყვა, თანაგრძნობა შესახებ ფილოლოგიისა გაიგონა. ეს სტუდენტი ალაპარაკეთ ფილოლოგიაზედ, კლასიციზმზედ და ამის ღმერთი იქნებით. თუ ამ საგანზედ დაუწყეთ ლაპარაკი, მაშინვე აურევს ლაპარაკში თოვლ-ჭყაპისავით გუმანიზმს, იდეიალიზმს და რეალიზმს, თუმცა ამან არ იცის, რა არის ეს გუმანიზმი, რა არის რეალიზმი. ბევრჯელ მქონია ამ სტუდენტთან ლაპარაკი თავის საყვარელ საგანზედ და კარგათ დავრწმუნდი, რაც მე ამის შეხედულობაზედ ვსთქვი. თუ ჩვენ გვინდა გუმანიზმი დავიცვათ, ამის შეხედულობით, უნდა ძალიან მოვეჭიდნეთ კლასიციზს. ამას ვერ წარმოუდგენია, რომ კაცმა საზოგადო განათლება მიიღოს დი ამის გარდა სპეციალურად მაგ. ხიმია, ანუ ფიზიოლოგია შეისწავლოს და ამასთანავე მოსალური მხრით რომელიმე კლასიკზედ მაღლა იდგეს. ძალიან ჯავრი მოსდის, რომ ეხლა საფრანგეთმა გული აჰყარა კლასიციზმზედ...

ყოველ მინუტს ველოდი, რომ ეს სტუდენტი მოჰხსნიდა პირს და თავის გუმანიზმით და რეალიზმით ჩვენ ფაეტონს გადმოაბრუნებდა. ჩემი აზრი კლასიციზმზედ კარგათ იცოდა. ისიც კარგათ ახსოვდა, რომ ერთხელ მე ვუთხარი: „ეგ შენი შეხედულობა გუმანიზმზედ, რეალიზმზედ და იდეალიზმზედ მარტო შენ თავშია; მაგისთანა გუმანიზმი და რეალიზმი ლიტერატურაში არ არის.“ იმათ ლაპარაკის დროს ხან-და-ხან ღიმილით შევხედავდი ხოლმე და ჩემ გულში ვიძახდი: „ჰა დაიწყე რაღა შენი გუმანიზმი!“

შ. ისაკიძე.

მიუნხენი, 2 აგვისტოს.

(გაგრძელება).

როდესაც სთქვეს ნამდვილი სიტყვები ერთის ავაზაკისა: „ღმერთმა გვიდღეგრძელოს ჩვენი მამა დ..., რომელიდგანაც არის დამოკიდებული ჩვენი ბედ-იღბალი! სანამ ის ცოცხალი გვყავს, მანამ შიში არა გვაქვსრა!“

რასაკვირველია, ამისთანა კარგი მმართველის ხელში ავაზაკებს ექნებათ მხნეობა, და ამ მხნეობის მსხვერპლად იწირება საწყალი ცოლშვილის პატრონი ხალხი. ღმერთმა უშველოს ისევ თანაშემწეს უეზდის მმართველისა, რომელიც ძლიერ ყურადღებას აქცევს ამისთანა საქმეებს. მაგრამ ერთი კაცი ამოდენა უეზდს როგორ აუვა?!.

ალფესი ს. მგ—ძე.

# ნარევი

**მოგონილი შიმშილობა.** ჩინეთში ქრთამის აღებაში გაწაფულს ერთს მაზრის უფროსს ზეგი-ორგი ჰუბე-ბურიშ-ვილს, ფულები შემოკლებია (ზოგიერთნი ამბობენ კი არ შემოაკლდა ისე მოუნდაო) და ჩვეულებრივი ჩამორჩენით და ქრთამით რომ ვერ უშოვნია საკმაო ფული შემდეგი ოინი მოუგონია: ოლქის უფროსისათვის ოფიციალური მიწერილობა გაუგზავნია, აქაო და მაზრა შიმშილით ამოწყდება თუ ასი ათასი მანეთი არ გამოგვიგზავნეთ, რომ საკმაო სიმინდი ვიყიდოთ და ხალხს დავურიგოთო. ოლქის უფროსი მძინარა, ზარმაცი კაცი ყოფილა, თვითონ დაეზარებოდა ზემოხსენებულს მაზრაში წასვლა და თავის მაგიერ ოლქის მმართველობის წევრი ისყველამ გაუგზავნია ამბის შესატყობლად. ეს ისყველამ ჰუბე-ბურიშ-ვილზედ ნაკლები ცუღლუტი არ ყოფილა. მაზრაში ჩასვლის თანავე იმისთვის ჰუბე-ბურიშ-ვილს წრფელის გულით გაემხილა თავის ოინი და ბოლოს ეთხოვენა: „ჩემო ძმაო, ხაზინას ბევრი ფულები აქვს, სიმართლით სამსახური ჩვენში არ გადის; ავიღოთ ის ფული და „კანონისა“ და „სამართლისამებრ“ გავიყოთ“. ისყველამ დათანხმდა და ოლქის უფროსისათვის მოეხსენებინა, სწორე ამ ორ დღეში მაზრა შიმშილით გაწყდება თუ ნათხოვნს 100,000 მან. არ მიაშველებთო“.

ამ მძინარა უფროსს განკარგულება მოეხდინა და ზემოხსენებულს მაზრის უფროსისათვის ჩაებარებინათ 100,000 მან., რომელიც მან სამათ გაჰყო: „დიდი წილი“ თავის ჯიბისთვის გადასდო, „საკმაო“ ოლქის მმართველობის წევრისათვის და „უმცირესი“ ე. ი. რაღაც სამი ათასი მან. ამ ნაირად მოეხმარა: მოიჯარადრეთ—ს ეყიდვინებინა სიმინდი, შეეკრიბა მამასახლისები და ძალით დაერიგებინა, რადგანაც იმათ არ უნდოდათ წაღლით და ეუბნებოდნენ: „ბატონო წრიულს ისეთი მოსავალია ჩვენში, რომ თავს გადაგვედისო“. ამ ნაირად ჰუბე-ბურიშ-ვილმა ფოსმა აასრულა და სიმინდი დაარიგა.

ჩინური გაზეთიდამ *Zrihiuny*-დამ.


# განცხადებანი

ქინაქინის ღვინო ციებისათვის, ატკინსონის საყნოსველი წყალი და სხვანი იყიდება **ნამდვილს ინგლისის მაღაზიაში.**

(12—2)

რეალური სასწავლებლის უფროსი კლასის **შეგირდს** ჰსურს აძლიოს **გაკვეთილები** (განსაკუთრებით მათემატიკის) და ბინა იქვე ჰქონდეს.

ადრესი: „დროების“ - „ივერიის“ რედაქცია.

(5—5)

ქ. გორში გაიღო

## მარიამ ქერესელიძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

**Въ Гори, въ книжный магазинъ Маріи Кереселидзе.**

(12—4)

ვოდკის დეპო

გლადივასკვაზის სავოდკე ქარხნისა

## შაურ

აცხადებს, რომ 15 ივლისიდამ ამ 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ვოდკები შემდეგი წოდების: სასადილო, ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 45 კ. ბოთლიანათ 38, ნახევარ ბოთლისათვის 25კ. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების საგანგებოდ დამზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბევრს დაუკლებენ.

ეს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმედილით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირმებს.

მივაქცევთ ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე რომელიც ღირსებისთვის ქარხანა პასუხს აგებს.

ვოდკის დეპო იმყოფება მიხაილოვის ხიდზე ვორონცოვის ძეგლის პირდა-პირ ლიხოტინსკის სახლში.

(8—6)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ დის.

(100—20)

**მიიღეთ** დიდ-ძალი **ჩაი** პირ-და-პირ პლანტატორებისგან—**ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი.

(10—10)

შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.

(100—31)

პატენტიანი შრომკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რეზინები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჯ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—46)

**მურაბა** გემრიელი, ...ანფეტები ყველი, მაგნეზია, შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარამოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—40)

**ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის**

**მოსასპობელად**

**მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.**

(25—14)

ახლად გაღებული

## ზ. ჭიჭინაძისაგა

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან, რუსის საყდრის გვერდით, წოვიანოვის დუქნებში, № 2.

მსურველთ ამ ადრესით შეუძლიათ წიგნების დაბარება.

**Въ Тифлисъ. Въ книжный маг. Зах. Чичинадзе, Базарная улица д. № 2.**

(5—5)

**დაიბეჭდა და ისყიდება** ვართანოვის და ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიებში

## ალექსი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

## კანტორა იაგ. ზალინოვის

ოდესსის ვაჭრის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნაღდათ ჰყიდის და ჰყიდულობს აგრეთვე კომისიით ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.


**Дозволено цензурою. Тифлисъ 2 Сентября 1880 г. Типографія Меликова** გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი